საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

14/11/2025

MES 8 25 0001611502

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგ ანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 10 ივლისის №848725 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის", "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის", "სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის" საბაკალავრო, "სასურსათო ტექნოლოგიის", "სურსათის უვნებლობის" სამაგისტრო და "სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) საბჭომ 1.2 კომპონენტში კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევად:
„სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში უფრო მკაფიოდ იყოს ინტეგრირებული ისეთი ურთიერთდაკავშირებული თემები, როგორიცაა დიგიტალიზაცია, ცირკულაური ეკონომიკა, სასურსათო სისტემის
მდგრადობა და გლობალური სასურსათო პოლიტიკა; ამავდროულად, სასურველია, „რბილი უნარების“ განვითარება და შეფასება და რომ სწავლის შედეგები ასახავდეს ინტერდისციპლინურ კომპეტენციებს სასურსათო სისტემების სამეცნიერო, მარეგულირებელი, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ასპექტების ფარგლებში.“ აღნიშნულმა არ გამოიწვია აღნიშნული კომპონენტის ცვლილება.

ბ) აკრედიტაციის საბჭომ 1.3 კომპონენტში მოხსნა კლასტერული რეკომენდაცია:
„რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული კითხვარების გადახედვა და გაუმჯობესება, რათა ისინი ასახავდეს კონკრეტულ, სწავლის შედეგებთან შესაბამის ინდიკატორებს. რეკომენდებულია, დამსაქმებლის გამოკითხვებში მიუთითოთ რესპონდენტთა სახელები ან როლები, რათა უზრუნველყოფილი იყოს უკუკავშირის სანდოობა და წარმომადგენლობითობა.“ აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

გ) საბჭომ 1.4 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია:

"რეკომენდებულია, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოვიდეს დარგობრივ მახასიათებელთან" და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან."
ხოლო ამავე კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, სათაურის ინგლისური ვერსიის სწორად ფორმულირება, რადგან სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით სწორი ვერსიაა - Master in Food Technology (1.4)." ჩამოაყალიბა შემდეგი სახით: "რეკომენდებულია, სათაურის ინგლისური ვერსიის სწორად ფორმულირება, რადგან სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით სწორი ვერსიაა - Master of Food Technology (1.4)."
აღნიშნულმა ცვლილებებმა, არ გამოიწვია კომპონენტის ცვლილება.

დ) აკრედიტაციის საბჭომ 1.5 კომპონენტში კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევად: „სასურველია, გამოცდის ხანგრძლივობის გადახედვა, უფრო ყოვლისმომცველი შეფასების პროცესის უზრუნველსაყოფად.“ აღნიშნულმა არ გამოიწვია ამ კომპონენტის ცვლილება.

ე) აკრედიტაციის საბჭომ 2.1 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია:
„რეკომენდებულია გადაიხედოს მიღების წინაპირობებში უცხო ენის ცოდნის კომპეტენციის დადასტურების რეგულაცია, დაკონკრეტდეს სერტიფიკატის გამცემი კვალიფიციური ორგანო ან/და განისაზღვროს შიდა გამოცდა.“ აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

ვ) აკრედიტაციის საბჭომ 4.5 კომპონენტში მოხსნა კლასტერული რეკომენდაცია:
,,სასურველია, რომ სტუ-ს ბიუჯეტში ჰქონდეს მიზნობრივი გეგმა, რომელიც მოიცავდა პროგრამის გაუმჯობესებას, ფინანსურ მხარდაჭერას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, გაცვლითი პროგრამების გაძლიერებას, ფაკულტეტის წევრებისა და სტუდენტების რაოდენობის ზრდას და კლასტერში გაერთიანებული ფაკულტეტების შემოსავლების ზრდას. ეს უნდა შეესაბამებოდეს კლასტერის განვითარების ერთიან პოლიტიკასა და მიზნებს. ბიუჯეტი შეიძლება მოგვიანებით გადაეცეს ფაკულტეტებს გეგმის მიხედვით. ფაკულტეტებს, რომლებსაც აქვთ ერთზე მეტი პროგრამა, სასურველია ბიუჯეტის პუნქტებად დაყოფა (მაგ., პრაქტიკული სამუშაოების მხარდაჭერა, სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების მხარდაჭერა და ა.შ.)." აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა არ გამოიწვია მე-4 სტანდარტის ცვლილება.

ზ) აკრედიტაციის საბჭომ 5.1 კომპონენტში დააკორექტირა კლასტერული რეკომენდაცია:
"რეკომენდებულია, კლასტერის ფარგლებში თითოეული პროგრამა, როგორც კურსის, ასევე პროგრამის დონეზე მოიცავდეს გასაუმჯობესებელი სფეროების რეალისტურ შეფასებას, შედეგების შეფასებებიდან, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირიდან და შრომის ბაზრის ანალიზიდან შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე.“

თ) აკრედიტაციის საბჭომ 5.3 კომპონენტში მოხსნა კლასტერული რეკომენდაცია:
„რეკომენდებულია, რომ თვითშეფასების ანგარიშის გუნდში ოფიციალურად შედიოდეს ხარისხის უზრუნველყოფის (QA) სპეციალისტი. გარდა ამისა, გუნდს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობები - როგორც საერთო, ასევე სპეციფიკური - რომლებიც შეძლებისდაგვარად იყოს დამოუკიდებელი ინდივიდუალურ პროგრამასთან აფილირებისაგან და იყოს მხარდაჭერილი კარგად სტრუქტურირებული ორგანიზაციული ჩარჩოთი.“ აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“,

შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა გამოიწვია მე-5 სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "სასურსათო ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 31 ოქტომბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "სასურსათო ტექნოლოგიის", "საკვები პროდუქტების გადამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის", "სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის" საბაკალავრო, "სასურსათო ტექნოლოგიის", "სურსათის უვნებლობის" სამაგისტრო და "სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 14 ნოემბრის სხდომის №1611454 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №1).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამამ დაამატოს ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც ხაზს გაუსვამს ინტერდისციპლინურ ინოვაციებს, ინჟინერიის პრინციპების ინტეგრირებას სურსათის მდგრადობასთან. რეკომენდებულია, სამეცნიერო კომუნიკაციის, პროექტების მართვისა და ლიდერობის კომპეტენციების ინტეგრირება, რაც უკეთ მოამზადებს კურსდამთავრებულებს სურსათის თანამედროვე ინდუსტრიის მოთხოვნებისთვის;
- რეკომენდებულია, „სურსათის წარმოების დიზაინის“ კურსისთვის დადგინდეს წინაპირობა, ვინაიდან აპლიკანტები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა სფეროდან, როგორიცაა ბიოლოგია, ბიოქიმია, მოსავლის წარმოება და მეცხოველეობა და შესაძლოა არ ჰქონდეთ დიზაინის პრინციპების საფუძვლები საბაზისო ცოდნა;
- რეკომენდებულია, სათაურის ინგლისური ვერსიის სწორად ფორმულირება, რადგან სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით სწორი ვერსიაა - Bachelor of Food Technology;
- რეკომენდებულია, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოვიდეს დარგობრივ მახასიათებელთან" და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან - *სურსათის ტექნოლოგიის მაგისტრი;*

- რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურსის შინაარსის მკაფიოდ გამიჯვნა ბაკალავრიატის დონისგან ამისთვის სილაბუსებში უნდა აისახოს უფრო მეტი სირთულე, სიღრმე და აქცენტი კვლევაზე. რეკომენდებულია კურსის აღწერილობებში ცალსახად იყოს განსაზღვრული, თუ როგორ ეფუძნება შინაარსი ბაკალავრიატის დონის ცოდნას, უფრო რთული შემთხვევების კვლევების, კვლევაზე დაფუძნებული დავალებების და კრიტიკული ანალიზის კომპონენტების ჩართვას სასწავლო გეგმებში.
- რეკომენდებულია, პრაქტიკული თემა „ზეთის წარმოება“ ამოღებულ უნდა იქნას კურსიდან „სასურსათო ინდუსტრიის ნარჩენების გადამუშავება“. ასევე, კურსიდან „ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების დამუშავების ტექნოლოგია“ ამოღებულ უნდა იქნას თემები 14 და 15, რადგან როგორც ზეთები, ასევე თამბაქო არ შედის საკვებ პროდუქტებში. უფრო მიზანშეწონილია დაემატოს თემები „საკვები ზეთების“ შესახებ ან გაფართოვდეს სუბტროპიკული ნედლეულის სია (მაგალითად, ციტრუსი);
- რეკომენდებულია, ლიტერატურის განახლება და ძველი რუსულენოვანი კურსების ამოღება ძირითადი და დამხმარე რესურსების სიიდან:„კონტროლის სისტემების ავტომატიზირებული პროცესი“, „საკვების მიკრობული საფრთხეები“, „საკვების გადამამუშავებელი ობიექტების დიზაინი“, „საკვების მრეწველობის ნარჩენების გადამუშავება“, „საკვები ცხიმების ზოგადი ტექნოლოგია“; „საკვებში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ანალიზის მეთოდები“; „ეთილის სპირტის ტექნოლოგია“, „საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია“, „საქაროზას ტექნოლოგია“, „ხორცისა და ხორცპროდუქტების ტექნოლოგია“, „სახამებლის, გლუკოზისა და ფრუქტოზის წარმოება“, „ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გადამუშავების ტექნოლოგია“, „რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია“;
- რეკომენდებულია გადაიხედოს მიღების წინაპირობებში უცხო ენის ცოდნის კომპეტენციის დადასტურების რეგულაცია, დაკონკრეტდეს სერტიფიკატის გამცემი კვალიფიციური ორგანო ან/და განისაზღვროს შიდა გამოცდა;
- პროგრამების სასწავლო გეგმებისა და სილაბუსების შესწავლის საფუძველზე, რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში მასალების გადახედვა, რაც უზრუნველყოფს კურსების დასახელებების, კრედიტებისა და საათების განაწილების თანმიმდევრულობას და სრულ შესაბამისობას თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციასთან;
- რეკომენდებულია, რომ სილაბუსები შეიცავდეს აკადემიური კონსულტაციების ფორმატისა და განრიგის შესახებ მკაფიო ინფორმაციას. ამ დეტალების მიწოდება გააუმჯობესებს სტუდენტებსა და ლექტორებს შორის კომუნიკაციას, ხელს შეუწყობს სტუდენტების სწავლას ფორმალური სალექციო დროის მიღმა და გაზრდის აკადემიური დამხმარე სერვისების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.
- რეკომენდებულია, კლასტერის ფარგლებში თითოეული პროგრამა, როგორც კურსის, ასევე პროგრამის დონეზე მოიცავდეს გასაუმჯობესებელი სფეროების რეალისტურ შეფასებას, შედეგების შეფასებებიდან, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირიდან და შრომის ბაზრის ანალიზიდან შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 31 ოქტომბრიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 31 ოქტომბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე